

**რანეტი თუ რენეტი?**

ლექსიკონებში გვხვდება ერთისა და იმავე მნიშვნელობის ორი ვარიანტული სიტყვა — რანეტი და რენეტი. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში თავ-თავის ადგილას შეტანილია ორივე მათგანი, თუმცა უპირატესობა რანეტს ეძლევა. იქ ვკითხულობთ:

„რანეტი (რანეტისა) [ფრან. rainette] ვაშლის ჭიშების ერთი ჯგუფ-თაგანი; ახასიათებს გლუვი ზედაპირი და სპეციფიკური სურნელება. შამპანური რანეტი. — კანადური რანეტი. — ლაგოდუხის რანეტი“.

„რენეტი (რენეტისა) იხ. რანეტი. თეთრად ქათქათებდა შამპანური რენეტი. („გამარჯვება“)“<sup>1</sup>.

მ. ჭაბაშვილის მიერ შედგენილ „უცხო სიტყვათა ლექსიკონშიც“ ერთგვარი უპირატესობა რანეტის ვარიანტულ ფორმას აქვს მიკუთვნებული (განმარტება აქაც მხოლოდ მას ახლავს):

„რანეტი [ფრ. reinette] ზამთრის ვაშლის ჭიში“.

„რენეტი იგივეა, რაც რანეტი“<sup>2</sup>.

უფრო კატეგორიულადაა ხაზგასმული რანეტის უპირატესობა „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“. ერთადერთ მართებულ ფორმად აქ მიჩნეულია რანეტი, ხოლო რენეტს პირდაპირ უწერია: „[რენეტი კი არა] რანეტი“<sup>3</sup>.

როგორც ზემოთყვანილი ციტატებიდანაც ჩანს, ეს სიტყვები ფრანგული წარმოშობისაა. ფრანგულში მათ ორგვარი დაწერილობა აქვთ: rainette და reinette. ლარუსის ცნობილი ლექსიკონის მიხედვით, rainette მომდინარეობს ძველი ფრანგული raine და ლათინური rana-დან (= ბუყყი). იგი reinette-ის სინონიმადაა მიჩნეული. ხოლო

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, პროფ. ა. რ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. VI, თბ., 1960.

<sup>2</sup> უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შედგენილი მ. ჭაბაშვილის მიერ, თბ., 1964; 1973.

<sup>3</sup> ვ. თ. ფურია და ი. ვ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968.

reINETTE-ის შესახებ იგივე ლექსიკონი გვაუწყებს, რომ ასე უწოდებენ ვაშლს იმის გამო, რომ მას კანის წინწყლები ბაყაყისა მიუგავსო<sup>4</sup>.

თანამედროვე ფრანგულ ენაში დაწერილობა rainette უმოაერესად ბაყაყის (უფრო ზუსტად, ხის ბაყაყის — ვასაკას) აღსანიშნავად იხმარება, reINETTE კი — ვაშლის ჯიშების ერთ-ერთი ჯგუფის სახელწოდებად.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფრანგულად როგორც rainette, ისე reINETTE სახვებით ერთნაირად წარმოითქმის, სახელდობრ — „რენეტ“ [ʁenet] და არა „რანეტ“!

ქართულში როგორც რანეტი, ისე რენეტი რუსული ენის მეშვეობით ჩანს შემოსული. ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით რუსულში ამ სიტყვათა ისტორიაზე, მათს ფუნქციებსა და ხმარების სფეროზე (ეს სპეციალური შესწავლის საგანია). შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ რუსულ ლექსიკონებში (და, თუმცა იშვიათად, მხატვრულ ლიტერატურაშიც) გვხვდება როგორც РАНЕТ-ი, ისე РЕНЕТ-ი, სპეციალურ (აგრონომიულ) ლიტერატურაში კი საუკუნეზე მეტია, რაც იხმარება მხოლოდ РЕНЕТ-ი. უკანასკნელი პერიოდის ენციკლოპედიურ-საცნობარო ხასიათის ლიტერატურაშიც მხოლოდ РЕНЕТ-ია<sup>5</sup>.

ქართულ ლექსიკოგრაფიაში ამ ორი სიტყვიდან უფრო ადრე რეგისტრირებული აღმოჩნდა რენეტი, რომელიც შეტანილია იოსებ იმედაშვილის მიერ შედგენილ უცხო სიტყვათა ლექსიკონში:

„რენეტი ფრ. მომწვანო და წითელქერქა ზამთრის ვაშლი“<sup>6</sup>.

ამავე ლექსიკონის მესამე გამოცემაში უკვე ორივე ფორმა გვხვდება, მაგრამ აქ (როგორც ჩანს, რუსული ენის ლექსიკონების გავლენით) ძირითად ფორმად მიჩნეულია რანეტი:

„რანეტი-ი ფრ. (rainette) მომცრო ვაშლის საუკეთესო ჯიში“.

<sup>4</sup> Larousse universel. II. Librairie Larousse, Paris, 1949, 609, 639. იხ. აგრეთვე Lexis dictionnaire de la langue française, Librairie Larousse, Paris, 1975, გვ. 1484, 1520, სადაც rainette ასევეა განმარტებული, ხოლო reinette-ისათვის მოსაგულად მიჩნეულია reine (დედოფალი). შტრ. Dictionnaire étymologique de la langue française par A. Dauzat, Paris, 1958 გვ. 620: მოსაგულა la reine des pommes — ვაშლების დედოფალი. ანალოგიურ ეტიმოლოგიას იძლევა Dictionnaire étymologique de la langue française, Oscar Bloch et W. von Wartburg, deuxième édition, Paris, 1950, გვ. 504—505.

<sup>5</sup> Советский энциклопедический словарь, изд. „Советская энциклопедия“, М., 1980; изд. II. М. 1983.

<sup>6</sup> უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ, მეორე შეესებულ-შესწორებული გამოცემა, 1918, დედა-ქალაქი. [ლექსიკონის პირველ გამოცემაში (თბილისი, 1904) არც რენეტია შესული და არც რანეტი].

„რენეტ-ი იხ. რანეტი“<sup>7</sup>.

ანალოგიური ვითარება გვაქვს იმავე (1928) წელს გამოსულ ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილ უცხო სიტყვათა ლექსიკონში:

„რანეტი — ერთგვარი ვაშლის ჯიში, წითელი და ნაცრისფერი ფოროჯებით“.

„რენეტი — იხ. რანეტი“<sup>8</sup>.

პროფ. გ. ახვლედიანის მიერ შედგენილ უცხო სიტყვათა ლექსიკონში გვხვდება მხოლოდ რენეტი:

„რენეტი (ტტ), ერთგვარი საზამთრო ვაშლი“<sup>9</sup>.

შემდგომში რანეტს ვხვდებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1937 წ. გამოცემულ რუსულ-ქართულ ლექსიკონშიც:

„Ранет რანეტი (ვაშლის ჯიში)“<sup>10</sup>.

თითქმის ასევეა თარგმნილი ранет-ი რუსულ-ქართულ სასოფლო-სამეურნეო ლექსიკონშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ის, რაც უნივერსიტეტის რუსულ-ქართულ ლექსიკონში რანეტის განმარტება იყო („ვაშლის ჯიში“), სასოფლო-სამეურნეო ლექსიკონში რანეტის სინონიმად გვევლინება: „რანეტი, ვაშლის ჯიში“<sup>11</sup>, რაც ცხადია, უმართებულოა.

მომდევნო პერიოდში რანეტი ზოგ სხვა ლექსიკონშიც გვხვდება, თუმცა არა ყველგან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ შედგენილ სამტომეულ და ერთტომეულ რუსულ-ქართულ ლექსიკონებში, ранет-სა და ренет-ს ქართულ შესატყვისად უწერია რენეტი<sup>12</sup>. ასევე მხოლოდ რენეტი გვხვდება

<sup>7</sup> უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ, ახლად შეესებულ-შესწორებული და გადამუშავებული მესამე გამოცემა პროფ. გ. ახვლედიანის, დ. თინათინაშვილისა და ე. ტატიშვილის რედაქციით, ტფილისი, 1928.

<sup>8</sup> უცხო სიტყვათა ლექსიკონი, სახელგამი, ტფილისი, 1928 (შპრ. Полный иллюстрированный словарь иностранных слов, составил И. Вайсблит, М.-Л., центр. т-во „Кооперативное издательство“, 1926).

<sup>9</sup> პროფ. გ. ახვლედიანი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ტფილისი, 1933.

<sup>10</sup> რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, თბ., 1937.

<sup>11</sup> რუსულ-ქართული სასოფლო-სამეურნეო ლექსიკონი პროფ. ნ. ხომიჯაშვილისა და დოც. გ. რეხილაძის რედაქციით, თბ., 1957.

<sup>12</sup> რუსულ-ქართული ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემა, ტ. III, თბ., 1959; რუსულ-ქართული ლექსიკონი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემა, თბ., 1983.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემულ სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაში<sup>13</sup>.

აღსანიშნავია, რომ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში (და პრესაშიც) რანეტი საერთოდ არა ჩანს. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კარტოთეკის ფონდში (რომლის შევსება ამ ლექსიკონის გამოსვლის შემდეგაც გრძელდება და ამჟამად რამდენიმე მილიონ ბარათს ითვლის) არაა რეგისტრირებული რანეტის ხმარების არც ერთი შემთხვევა. რანეტის ხმარების შემთხვევები კი გვაქვს. მოგვეყვას ზოგიერთი მაგალითი:

მარტო ვაშლისა და მხლის ორასზე მეტი ჯიშია ჩვენში გავრცელებული... ასეთებია: კეხურა, ქართული სინაპი, აბილაური, ლაგოდეხის რენეტი, თურაშაული, რკინა-ვაშლი, ყინულა, დანა-ვაშლი, რაჭულა, მუხურის თეთრი, აჭარული წითელი და სხვა („საქ. ბუნ.“); „ჩინურისა“ და „გორული მწვანის“ კორომებთან ერთად გვხვდება ნაყოფით ტოტებდამძიმებული ხეხილის ბაღების დიდი და პატარა მასივები, საიდანაც წითლად მოღვარე კეხურა, ქალწულის თვალებივით ფოთლებში ნაზად მინაბული შაფრანი, შამპანური რენეტი, სურნელოვანი ბანანი, ანტონოვკა და ვინ მოთვლის რამდენი ჯიშის ვაშლი გვიღიმის („ციცხ.“); საქართველოში ფართოდ ცნობილია ვაშლის ძვირფასი ჯიშები — ქართული სინაპი, თურაშაული, ლაგოდეხის რენეტი („კომ.“);

— მომეცით ერთი კილო ვაშლი. — რომელი ვაშლი? — რენეტი („კომ.“); დაიწყეს შაფრანის კრეფა, მას მიაყოლეს კანადური რენეტი („გამარჯ.“); თეთრად ჭაბჭაბებდა შამპანური რენეტი (იქვე).

როგორც ზემოთაც იყო თქმული, რანეტი||რანეტი ვაშლის ჯიშთა ერთ-ერთი ჯგუფთაგანია. ამ სახელწოდებით მეხილეობაში ცნობილია მრავალი ათეული ვაშლის ჯიშები. ცნობილ პომოლოგს ლ. სიმირენკოს თავის კაპიტალურ ნაშრომში განხილული აქვს სხვადასხვა ჯიშის 77 რანეტი<sup>14</sup>, თანაც ეს სია სრულებითაც არ არის ამომწურავი.

რანეტი მებაღეობა-მეხილეობაში ფართოდ გავრცელებული ტერმინია. ამიტომ ლექსიკონებში (არა მარტო ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში, არამედ ზოგადი დანიშნულების ლექსიკონებშიც), ცხადია, ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, თუ რომელ ვარიანტულ ფორმას (რანეტს თუ რენეტს) ხმარობენ მებაღე სპეციალისტები, ე. ი. რომელი მათგანია გავრცელებული სპეციალურ აგრონომიულ ლიტერატურაში.

როგორც ცნობილია, ევროპული ხეხილის ჯიშები საქართველოში (პირველ ყოვლისა — ქართლში) გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან (უფრო მეტად კი მისი დასასრულიდან) და XX საუკუნის დასაწყისიდან

<sup>13</sup> სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 1959. ამ ტერმინოლოგიაში შეტანილია აღნიშნული ჯგუფის ვაშლთა 19 სხვადასხვა ჯიშში, ყველა — რანეტის ფორმით.

<sup>14</sup> Л. П. Смирненко, Помология, т. I, изд. „Урожай“, Киев, 1972.

გაგრცელდა. სათანადო დარგის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ამ საქმის პიონერები იყვნენ ჩვენში ი. ფურცელაძე (ს. მერეთში), ნ. კეცხოველი (ს. ტყვიავში), ს. ხეთაგური (ს. ნიქოხსა და კასპში), აგრეთვე მშები გ. და მ. ფრიდონოვები (ს. სკრაში)<sup>15</sup>.

ირკვევა, რომ ამ დარგის იმდროინდელ წიგნებსა თუ პერიოდულ გამოცემებში ეხვდებით მხოლოდ რენეტს, რანეტს კი არც ერთხელ არაა ნახმარი<sup>16</sup>.

მომდევნო პერიოდისა და თანამედროვე სპეციალურ (აგრონომიულ) ლიტერატურაში მხოლოდ და მხოლოდ რენეტი იხმარება და არსად რანეტი<sup>17</sup>.

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, რენეტიცა და რანეტიც ჩვენში რუსული ენის მეშვეობით არის შემოსული. ამ სიტყვათა შემოღწევის ორი გზა გვესახება. უფრო ადრე (დაახლოებით XIX საუკუნის 80-იან

<sup>15</sup> ამის შესახებ იხ. „Краткий очерк садоводства Закавказья“ В. Гаевского и Г. Шаррера, Тифлис, 1886, გვ. 77—79; კრებული: „Земледелие государственных крестьян Закавказского края“, часть II, „Садоводство в Закавказском крае“ С. П. Зелинского, Тифлис, 1888, გვ. 112; В. Баграмов, „Современное положение плодородства в Кахетии и пути к его развитию“, ჟურნალი „Кавказское хозяйство“, № 13—14, 1917, გვ. 20; ნ. კეცხოველი, „კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში“, თბილისი, 1937, გვ. 319; ნ. ხომიჭურაშვილი, ვ. ტიხაშვილი, „მეხილეობა“, გამომც. „განათლება“, თბილისი, 1967, გვ. 6, ა. ბუჩუკური, „მებაღეობა“, გამომც. „განათლება“, თბ., 1967, გვ. 10 და სხვ.

<sup>16</sup> იხ. „ხეხილის სანერგეები და ბაღები ძმ. გ. და მ. ფრიდონოვებისა, ხეხილების და ბუჩქნარების კატალოგი“, Тифлис, 1905, გვ. 16—27 (დასახელებულია სხვადასხვა ჯიშის 20 რენეტი); ისაი ფურცელაძე, „რა და რა ჭრთა ხილი ქართლში გაგრცელებული და რომელი უფრო სარგებლოა გასაჩენად“, სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“, 1910, № 6, გვ. 4—6; გ. თაქთაქიშვილი, „ხეხილი“, დასახ. ჟურნალი 1912, № 3, გვ. 5; იხ. აგრეთვე ამავე ჟურნალის 1912 წ. № 19-ში ქართული სამეურნეო საზოგადოების ინსტრუქტორის გ. ნახუცრიშვილის მოხსენება (გვ. 5-6).

<sup>17</sup> იხ. ალ. გამსახურდიი, „მეხილეობა ჩვენში და მისი განვითარების პერსპექტივები“, ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1929, № 3, გვ. 41—43; ნ. კეცხოველი, „ხილის მოვლა“, სახელგამი, 1929, გვ. 83-84; ვ. ბიბილაშვილი, „საქართველოს ხილი“, სახელგამი, ტფილისი, 1931, გვ. 15—58; დ. გორთამაშვილი, „მებაღეობა“, სახელგამი, ტფილისი, 1935, გვ. 159—163; ნ. კეცხოველი, „კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში“, თბ., 1937, გვ. 319; ნ. ხომიჭურაშვილი და ელ. ერისთავი, „საქართველოს კულტურული ფლორის ატლასი“, ტ. I, „ტექნიკა და შრომა“, თბ., 1939, ტ. II, თბ., 1941; „საქართველოს მეხილეობა“, მთ. რედაქტორი ნ. ხომიჭურაშვილი, გამომც. „მეცნიერება“, ტ. I, თბ., 1969; ტ. II, თბილისი, 1970. ტ. III, თბილისი, 1973; ლ. ბერძენიშვილი, „ნაგალა ხეხილის გაშენება და მოვლა“, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1980. იხ. აგრეთვე „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ IV ტომში სტატია „ვაშლი“.

წლებში) შემოსულია რენეტი, რომელიც შემოაყვავა ვაშლის სათანადო ჯიშების ნერგებს როგორც ამ ჯიშთა სახელწოდება. ეს ნერგები ქართლში რუსეთიდან (უმთავრესად ყირიმიდან) შემოაქმნდათ. რუსულ აგრონომიულ ლიტერატურაში იმ დროისათვის უკვე მტკიცედ იყო დამკვიდრებული **РЕНЕТ**-ი ესაა რენეტის შემოსვლის პირველი გზა. მეორე გზით (პირველთან შედარებით უფრო გვიან და მისგან დამოუკიდებლად) რუსული ლექსიკოგრაფიული ლიტერატურის, უპირატესად უცხო სიტყვათა ლექსიკონების უშუალო გავლენით ქართულ ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაში ფეხს იკიდებს ორივე ვარიანტული სიტყვა — რანეტი (როგორც ძირითადი ფორმა) და რენეტი (როგორც პირველის ნაირსახეობა). როგორც დავინახეთ, ასეთი ვითარება დღემდე გრძელდება.

არ შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილად, მით უმეტეს, გამართლებულად ენაში ამ ორი მოცილე სიტყვის თანაარსებობა, რომლებიც არც სემანტიკურად და არც ფუნქციურად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ასეთი ვარიანტული ფორმების არსებობა (სინონიმებისაგან განსხვავებით) მიუთითებს არა ენის ლექსიკის სიმდიდრეზე, არამედ მისი ორთოგრაფიის მოგვარების საჭიროებაზე. ამიტომაც ამ ორი სიტყვიდან საჭიროა უპირატესობა მიეცეს ერთ-ერთ მათგანს, რომელიც ენაში საბოლოოდ უნდა დარჩეს და დამკვიდრდეს.

როგორც დავინახეთ, რანეტს ქართულში არა აქვს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ მან მეტოქეობა გაუწიოს სპეციალურ ლიტერატურაში საუკუნის წინათ დამკვიდრებულ და დღემდე ფართოდ ხმარებულ ტერმინს — რენეტს. ამიტომ ბუნებრივი იქნება, თუ ლექსიკოგრაფიულ ლიტერატურაშიც მისთვის კუთვნილ ადგილს რენეტი დაიკავებს. ამას შეიძლება ისიც დავძინოთ, რომ სხვა (კერძოდ, ევროპის ქვეყნების) ენებშიც უპირატესად რენეტის ადეკვატური ფორმებია გავრცელებული (შდრ. ინგლ. **rennet**, გერმ. **Renette**, [ესპ. **reineti**, რუმ. **renet**, პოლონ. **reneta**, ჩეხ. **reneta**, ბულგ. **рeнeтa**, ფინ. **renetti** და სხვ.). რუსულშიც ბოლო ხანებში (ყოველ შემთხვევაში) ენციკლოპედიურ-საცნობარო ლიტერატურაში **РЕНЕТ**-ი იკავებს გზას. აღარასწამებობთ იმაზე, რომ თვით ფრანგული ორთოგრაფიაც რენეტს უჭერს მხარს და არა რანეტს.